

ადამიანზე ორიენტირებული ნარკოსტრატეგიის/ნარკოპოლიტიკის
შემუშავების მნიშვნელობა



*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების
და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე, ასისტენტ-პროფესორი

თანახელმძღვანელი: დავით ოთიაშვილი, მოწვეული პედაგოგი

ავტორი: მერაბ ქართველიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი	1
Abstract	4
შესავალი და პრობლემის დასაბუთება	6
სამაგისტრო ნაშრომის მიზანი	9
მეთოდოლოგია.....	10
შედეგები და დისკუსია.....	11
ნარკოპოლიტიკის 4 სვეტი.....	11
პრევენცია.....	13
მკურნალობა და რეაბილიტაცია	16
ზიანის შემცირება.....	17
მიწოდების შემცირება	19
ნარკოპოლიტიკის 4 სვეტის სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები	20
ნარკოტიკულ დანაშაულებზე არსებული კანონმდებლობა	24
ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო.....	25
კანონქვემდებარე აქტები	27
ბოლო პერიოდში კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები	29
ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ანალიზი	31
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელებული ცვლილებები	40
სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი საკანონმდებლო ცვლილებები	42
სისხლის სამართლის პროცესებზე არსებული პრაქტიკა	45
ნარკოსტრატეგიის პრინციპებსა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკის შემუშავების მნიშვნელობა	49
დასჯის ალტერნატივების გამოყენება ევროკავშირის ქვეყნებში	49

საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის კანონპროექტი	52
დასკვნა და რეკომენდაციები	54
ბიბლიოგრაფია	58

აბსტრაქტი

სახელმწიფოებისთვის ნარკოპოლიტიკის შემუშავების საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან პოლიტიკის განხორციელება ასახვას ჰპოვებს კონკრეტული ადამიანების ბედზე, მათ შორის ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებლებზე, მათი ოჯახის წევრებსა თუ ახლობლებზე, ასევე მთლიანად საზოგადოებაზე.

ნარკოტიკების გავრცელების საკითხი მთელი მსოფლიოს მასშტაბით წარმოადგენს პრობლემას. მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდამდე, სახელმწიფოები ნარკოტიკების გავრცელების შესამცირებლად ერთადერთ გზად - დასჯას განიხილავდნენ. ნარკოტიკების მომხმარებლებს, სახელმწიფო რეპრესიულ მეთოდებს და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აკისრებდა. თუმცა, ბოლო ათწლეულებში განვითარებული ქვეყნების ნაწილმა შეცვალა მიდგომა და ფსიქოაქტიური ნივთიერების მომხმარებლების დასჯის ნაცვლად აირჩია ზრუნვის პოლიტიკა.

მიუხედავად, მეოცე საუკუნის ბოლოს, ზოგიერთი განვითარებული ქვეყნის მხრიდან პოლიტიკის ცვლილებისა, საქართველოში, ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ 2006 წლიდან მიდგომები კიდევ უფრო გამკაცრდა. 2006 წელს, საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოაცხადა „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა“, რის შემდეგაც მკაცრი მიდგომები შეიქმნა ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა მიმართაც. სტატისტიკამ აჩვენა, რომ ამ ტიპის პოლიტიკამ ვერ მოახერხა პრობლემური ნარკოტიკების მომხმარებლების რაოდენობის შემცირება. მაგალითად, თუკი 2009 წელს ინექციური ნარკოტიკების პრობლემური მომხმარებლების რაოდენობა იყო 40 000, 2012 წელს შეადგინა 45 000, (საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი 2017, 16)

შესაბამისად, ბოლო წლებში, სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან დღის წესრიგში დადგა ნარკოპოლიტიკის შეცვლის აუცილებლობა. აღნიშნული პირები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფოს მიერ არჩეული გზა - ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარება განიხილებოდა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ნაწილად, წინააღმდეგობაშია ადამიანის უფლებებთან. (ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა 2017)

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი იყო დაედგინა სახელმწიფოს მიერ არჩეული ნარკოპოლიტიკა, კერძოდ ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარებელთა მიმართ არსებული პოლიტიკა რამდენად ჰუმანური და თანაზომიერია. რამდენად შეესაბამება დღეს არსებული ნარკოპოლიტიკა, ნარკოსტრატეგიის დოკუმენტით გაწერილ პრინციპებს და რამდენად პასუხობს სახელმწიფოს მიდგომები საუკეთესო პრაქტიკის მქონე ქვეყნების პოლიტიკას.

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი შემუშავდა მეორად კვლევაზე დაყრდნობით, საჯარო სივრცეში ხელმისაწვდომი პირველადი (ნარკომანიასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტი, კანონმდებლობა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ნორმატიული აქტები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები) და მეორადი წყაროების (აკადემიური სტატიები, ანგარიშები და სხვა შედარებითი კვლევები) გამოყენებითა და გაანალიზებით.

ნაშრომში განხილულმა საკითხებმა, აჩვენა რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობა და პრაქტიკა არ არის ორიენტირებული ადამიანზე. 2013 წელს მიღებული ნარკომანიასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტი არის პროგრესული და შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომლებიც სრულად შეესაბამება განვითარებულ ქვეყნებში არსებულ მიდგომებს. თუმცა, დღეს მოქმედი ნარკოპოლიტიკის ამოსავალი წერტილი არ არის ადამიანის უფლებების დაცვა, მასზე ზრუნვა და საჭირო სერვისების შეთავაზება. ძირითადი აქცენტი კეთდება ნარკოტიკების მოხმარებლის დასჯაზე. აღნიშნული მსჯელობის მართებულობაზე მიუთითებს, საქართველოს

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება, რომლითაც არაკონსტიტუციურად სცნო გარკვეულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე დადგენილი სასჯელის ზომა, ხოლო მეორეს მხრივ ფაქტობრივად ლეგალური გახდა მარიხუანის მოხმარება პირად სივრცეში, ასევე გარკვეულ შემთხვევებში მცირე ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერებების ფლობაზე, შეძენასა და შენახვაზე პატიმრობა მიიჩნია არამიზნობრივად. ამის საპასუხოდ კი, სახელმწიფოს ჯერ არ გადაუდგამს ეფექტური ნაბიჯები, მათ შორის კანონმდებლობის და პრაქტიკის დახვეწის მიმართულებით.

საბოლოო ჯამში, ნაშრომი წარმოადგენს რეკომენდაციებს შესაბამისი ინსტიტუციებისთვის, რათა შეიქმნას სისტემური და დაბალანსებული ნარკოპოლიტიკა ფსიქოაქტიური საშუალებების მომხმარებელთა მიმართ.

Abstract

Drug policy development is very important for the states because policy implementation reflects on the fate of people, including psychoactive substance users, their family members or relatives, as well as society as a whole.

Throughout the world, illegal drug spread is a challenge. Until the end of the twentieth century, countries recognized the only way to supply reduction and that was the punishment. Drug users were the subjects to states' repressive methods. However, in recent decades some developed countries changed their approach and have chosen a care policy instead of punishing psychoactive substances users.

Despite policy changes of some developed countries at the end of the twentieth century, approaches to psychoactive drug users in Georgia have become ever more restrictive. In 2006, then-President Mikheil Saakashvili announced a "zero-tolerance policy", after which tough approaches were developed for drug users as well. Available data show that this type of policy was not able to reduce the number of problematic drug users. For example, if the number of injecting drug users in 2009 was 40,000, in 2012 it was 45,000.

In recent years, civil society has raised this issue and started to advocate the necessity of changing drug policy. They believe that the way government has chosen is wrong and they think that the use of psychoactive substances should not be considered as a part of criminal justice policy, because it violates human rights.

The aim of this MA thesis was to assess the state's drug policy, in particular, how humane and proportionate is the policy towards consumers of psychoactive substances. To what extent does the current drug policy comply with the principles outlined in the drug strategy document, and to what extent does the state's approach respond to the policies of best practice countries.

This comparative study was based on desk research, using primary sources (national drug strategy document, legislation, criminal procedure rules and jurisprudence) and secondary

sources (academic articles, reports and other comparative studies) available in the public domain.

The issues discussed in MA thesis have shown that current legislation and practice are not human rights oriented. The national drug strategy document, adopted in 2013 is progressive and contains a number of provisions that are fully in line with approaches in developed countries. However, current drug policy is not oriented on human rights protection, neither on care nor on provision of needed services. The validity aforementioned arguments is that the Constitutional Court of Georgia has ruled a number of convictions for certain drug offenses were unconstitutional, while on the other hand actually legalized marijuana consumption in private space, as well as in some cases imprisonment for possession and purchase for a small amount of drugs was considered inappropriate. In response, the state has not yet taken effective steps, including in improving legislation and practice.

Finally, the study includes recommendations for relevant institutions to create a systematic and balanced drug policy for psychoactive drug users.